

ქართული ხალხური ზღაპრები უმდიდრეს მასალას წარმოადგენს ჩვენი მხატვრებისათვის. მხატვარი შალვა ცხადაძე, რომელმაც ამ უკანასკნელ წლებში ზღაპრები „ირმისა“, „წითელქულა“ და „ჩიტი და მელა“ დასურათა, ამჟამად მუშაობს „კომბლეს“ ილუსტრაციებზე. ვბეჭდვთ ესკიზებს ილუსტრაციებისათვის.





კ ვ ე ნ ე ს ე ნ ც ი

№ 7

ივლისი, 1956 წ.

წელიწადი XXX

საბარტოველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის
შოველთვიური საბავშვო შუკანალი



6943



ს ა ნ ა ქ ე ბ ლ

რახანია მისი ქება
გაცდა სკოლის კედლებს.
სიბეჯითე, მონდომება
თურმე რას არ შეძლებს.

ვით იყისრა ამოდენა
პლანტაციის მოვლა,
რომ არ არის ტანად ჯერაც
ჩაის ბუჩქის ტოლა.


მწვანე სერზე უთენია
დღის სინათლეს მოჰყვა,

დახე, კიდევ ურბენია —
გარდს მიუგავს ლოყა.

ესალმება ჩაის ბუჩქი,
მღელვარებით ელის,
რომ ჩაიკრას თავის გულში
მისი გამრჯე ხელი.

კრეფას იწყებს თავდახრილი,
ნამი ბრწყინავს თმაში...
და ფოთლები ცვარდაყრილი
ცვივა კალათაში.

დღეები არტეკში



მარიანა ლუბანიაძე

შავი ზღვის საქართველოს სანაპიროები, პაწია კატერები და მოზრდილი გენები, თბომავალი „გრუზია“, რომელიც საქართველოს ნაპირებისაკენ მოცურავდა, ვეებერთელა „როსია“, რომელმაც ნოვოროსიისკის პორტთან ორასიოდე მეტრზე ჩაგვიარა, და ბოლოს თვით ჩვენი მშვენიერი „ლენსოვეტიც“ სასეე იყო პიონერული რაზმებით. ერთნი ბანაკად იღვწენ და მხიარული სიმღერით აყრუებდნენ შავი ზღვის სანაპიროებს, მეორენი ახლად მიემგზავრებოდნენ საბანაკოდ. იღვა ივნისი. ძალაში შედიოდა პიონერული ზაფხული.

არტეკში მივემგზავრებოდი — ჩვენს ბავშვებთან.

სალამოხანად, იალტას რომ ვუახლოვდებოდი, მოზრდილი ყურე გამოჩნდა გემბანიდან. ჩამავალი მზის შუქი წითლად ფენინა ვეება კვიპაროსებსა და თოვლისფერ შენობებს, სპორტულ მოედნებსა და კარვებს, დიდებულ სვეტებსა და იშვენიერ ტალღავრებს.

არტეკი! ათსაჯერ გვსმენია ჩვენ მისი სახელი. ესაა უსაყვარლესი ბანაკი მრავალმოლიონიანი საბჭოთა პიონერული ოჯახისა. მივარამ არასოდეს


მიცხოვრია მე იქ, და რაც არ გიხილავს, ძნელია სრული სიყვარულით გიყვარდეს იგი.

უკან დავტოვე ფერადი ქოლოებით აჭრელებული იალტა და ნახევარი საათის შემდეგ გიურზუფში რკინის ჭიშკართან შევდექე.

აქედან იწყება არტეკის პირველი კორპუსები.

არტეკს გასულ წელს 30 წლის იუბილე გადაუხადეს ნორჩმა პიონერებმა. იგი ათასხუთას დამსვენებელს იტევს ერთდროულად და არა მარტო ზაფხულობით, — მთელი წლის განმავლობაში მუშაობს. არტეკს თავისი ისტორია აქვს.

1925 წელს აიუღაგის ძირში, ზღვის პირზე, ბრეზენტის ოთხი კარავი იქნა გაშლილი. აიუღაგი, ანუ რუსულად „მედვედ-გარა“, ქართულად დათვიგორასა ნიშნავს. ესაა ვეებერთელა გორაკი, რომელიც მოყვანილობით დათვეს წააგავს, იგი თითქოს ყირიმის მთებიდან ძირს ჩანოსულა, წამოხობილა და მწყურვალი ზღვას დასწაფებია. დათვიგორა თითქოს საგანებოდ ჩამოშფარებია თავისი ზურგით არტეკს, — არ უშვებს ნისკენ უსიამო ქარებს. იმავე წლის 16 ივნისს კარავების თავზე პირველად



აფრიკადა წითელი ალამი. ასე გაიხსნა არტეკი. მას შემდეგ ოცდაათზე მეტმა წელიწადმა გაიარა და ახლა სულ სხვაა იგი.

არტეკი დღეს ოთხი ბანაკისაგან შედგება. აიუ-დგის ძირში ფართოდაა გაშლილი არტეკის მეოთხე ბანაკის კეთილმოწყობილი კვარტალები. მაღლობზე რომ აივსება, იმის ზეგით, პირველი ბანაკი მოთავსებულია. ამ ორი ბანაკის დასავლეთით მეორე ბანაკია — სუტუკ-სუ, რომელიც 1936 წლამდე არტეკს არ ეკუთვნოდა. საქვეყნოდაა ცნობილი სუტუკ-სუს ისტორია და მხიარული, სახუმარო ლექსი, რომელიც მოსკოვში კრემლის სასახლეში იმდღეა სტუმრად ჩამოსტუმრდა არტეკელ პიონერთა დელეგაციამ 1936 წელს.

„— ამ ჩვენს არტეკს სუტუკ-სუ ცხვირწინ დასკუებია...“

ქარაგმულ ლექსს, რა თქმა უნდა, უმალ მიუხედენ კრემლში და სუტუკ-სუ არტეკს აჩუქეს.

კიდევ უფრო დასავლეთით, მშვენიერი გიურ-ზუღის კარიბჭესთან, ზედ ზღვისპირაზეა გაშლილი არტეკის მესამე ბანაკი — მდიდრული საცხოვრებელი კორპუსებით, მშვენიერი პლაჟით, კინოთეატრითა და ხეივანებით.



ეს ყველაფერი საკუთარი თვალით დავათვალიერებ — რა თქმა უნდა ზერეოდ, ორიოდე საათში რაც მოვაწყობი, რადგან საოამოვდებოდა და ბავშვებთან შეხედრას გიჩქარებოდი. როგორც პირველი ბანაკიდან მომასწავლეს, ქართული პიონერები მესამე ბანაკში ისვენებდნენ.

დაბურული ხეივანი გავედი მესამე ბანაკის ტერიტორიაზე. ხეივის ბოლოში ვეებერთელა აყვდნული კლდის წავადექი. გარს შემოუყარე და ფლატზე გადავდექე. ჩემს წინ ლურჯად ნოლივლივი არტეკის სანაპირო გადაიშალა.

წყნარი საღამო იყო, ფთოლი არ შრიალბდა. ჩამი-ჩუმი არ ისმოდა ბანაკში. წინ წავდგი ბიჯი და ციკაბოს ჩაებდე. მარჯვნივ ორი თუ სამი სკოლამდელი გოგონა ყვავილსა კრეფდა და ლოდიდან ლოლზე გარეული თიკანივითა ზტოდა. ცოტა ქვივით ქერა ქალიშვილი კლდის ნაპობზე იჯდა და წიგნს ჩასკეჩროდა. ესენი არ იყვნენ არტეკელები. შაბაშის დრო აფერ კიდევ შორს იყო და გამოიკირდა არტეკის დუმილი.

— ბავშვებო, — მივმართე პატარებს, — სად არიან პიონერები? ორასი თუ სამასი ბავშვის სიცილი მომესმა პასუხად.

— აგე, იცინიან... — მითხრა პაწიამ. — არტეკში თოჯინების თეატრია დღეს...

გამოვბრუნდი, ისევ შემოვყარე კლდეს, ხეივანების ლაბირინთებში გზა ვიპოვე და დაღმართ-

დაღმართ ბანაკის კინოთეატრისაკენ დავეშვი. ზედ ზღვის პირზე იყო კინოთეატრი. ვისარებლე შორიგი ტაშითა და შეძახილებით, შეუშინველად უკან რიგებში მივდექე.


მაგნარ არტეკში, სადაც არავინაა უცხო, სადაც ერთი ოჯახივითა ცხოვრობენ — დიდხანს ვერ დარჩები შეუშინველი. ჯერ ერთმა დამადგა თვალი, მერე მეორემ, მესამემ მეთთხეს უჩუჩრულა... წარადიდენაც ხუთიოდე წუთში დასრულდა-და...

— ოლესია! ჯონდი! — იყვირა შეგვერემანმა, მზისგან კიდევ უფრო გამავეებულმა ბეჭუნამ და გახაბებული მოვარდა. — საქართველოში მივიღივართ... წასაყვანად მოვიდნენ...

წამდე გახაბებული ბავშვებისა და შეკითხვების ალყაში მივექეცი. უმალ გამოირკვა რაშიც იყო საქმე; საცაა მეორე ცვლა უნდა სწევოდა არტეკს, პირველი ცვლის ბავშვები დღე-ღამე ელოდნენ მეგზურებს, რომლებიც თავთავიანთ სამშობლოში წაიყვანდნენ ბავშვებს.

ბავშვებს განვუპარტე, რომ სტუმარი ვიყავ და არა მეგზური. სიყვარულით ვთავალოებოდი ჩვენს ბავშვებს, გამახარა შეხედრამ, მაგრამ გაურკვეველი წყენა და ტკივილიც ვეგრძენი. მე ჩამოვედი მათი მზიარული, მათი ბედნიერი ცხოვრების სანახავად, ესენი კი, გამიელვა უცებ, არტეკიდან წასვლას ეჩქარებოდა...

მაგნარ სულ ორიოდე საათში გამოქარწყლდა ექვტი, ხოლო ხუთი დღის შემდეგ, როცა საქართველოდან მეგზურიც ჩამოვიდა და არტეკის ავტობუსი იალტის პორტისაკენ მიგვაქროლებდა, საბოლოოდ დაერწმუნდი, რომ ვცდებოდი. ჩვენი ნორჩი მხატვარი — ოლესია თავაძე, თვალცრემლიანი იჯდა მანქანაში, თერთმეტი მეგობარი ერთად ამშვილებდა მას, თვითონ კი თერთმეტივეს გულს ასჩუყებოდა, კისერი უკანდარჩენილი არტეკისაკენ



კარვის გაშლა არტეკში ყოველმა პიონერმა იცის



არტექელთა ერთერთი საყვარელი სალაშქრო ადგილია შედვედ-გარა.

მოპრეცოდა. ხტოდა მანქანა მოსახვევებში და წკრიალებდა ცნობილი არტექული სიმღერა...

„ანძვე, ფრიალა აღმით, ქედებო, ნისლის ნარმით, არტეკო, ტბბლო კერავ, შავო ზღეო და გზებო, და თქვენც, ყირიმის მთებო, ვერ დაგივიწყებთ, ვერა!“

ისინი თორმეტნი იყვნენ. მეოლი საღამო ერთად გავატარეთ. უცებ დაგმგობრდით. კიდე დიდხანს ვიქნებოდით ერთად, მაგრამ დღის რეჟიმის დარღვევა არ შეიძლებოდა. ბავშვებმა ივანშემს და დაწვინ დასაძინებლად, მე კი არ დამეძინა და დავრჩი ჩემს ოთახში ბავშვების დღიურებით.

აქვე იყო ჩვენი ბავშვების საყვარელი მეგობრის გალია კონოვალენკოს დღიურიც.

გადავიკითხე ერთი დღიური, გადავიკითხე მეორე, მესამე... მე ჩემს ბავშვებში ასეთი დღიურები არ მიწერია. რამდენი შთაბეჭდილება, ოცნება და სიხარული აღბეჭდილა თითოეულის გულში!

ნუგზარ ფოფხაძეს დღიურის თავშივე უწერია საქართველოდან არტეკს გაგზავნილი პიონერების სია.

31 მაისია. აი, ისინი არტეკში არიან უკვე. გორელი გიტა აბულაძე, ბათუმელი ნოდარ ჯიბლაძე, თელაველი თეიმურაზ ქიჩლაძე, ქუთაისელი ლორა ჩხეიძე, ზესტაფონელი ინეზა ჯუღელი, სტალინირელი ზაურ ბესტავი, სოხუმელი ნანა კოდუა, მახარაძელი ჯონდო ლომთაძე, თბილისელები: თლესია თვაძე, ცილა ქიშწორიშვილი, ნუგზარ ფოფხაძე და სულ პატარა რუსის გოგონა — ტანია ბანინი, რომელიც მშვენივრად ლაპარაკობს ქართულ ენაზე.

„არტეკის ექიმებმა... გაგვსინჯეს. გვაგაფიქსირებინა ვართო!“ — მოკლედ შენიშნავს ნუგზარი. პირველი დღეები ბანაკის გახსნისათვის მზადებაში გადის. ეცნობიან ბანაკის შინაგანაწესს, იმუშავებენ სპორტული მუშაობა. ტარდება რაზმეულის შეკრება-არჩევნები და „საღამო გაცნობისა“. ქართული პიონერები სხვადასხვა რაზმებში ხვდებიან. ეცნობიან და უმეგობრდებიან რუს, უკრაინელ, ბელორუს, მოლდაველ, ყირგიზ, სომეხ პიონერებს...

„დაღა ნანატრი

ლდე, განაგრძობს ნუგზარი, — 4 ივნისია, დღეს იხსნება არტეკი. დიდი გამოცოცხლება ბანაკში. დილიდანვე ჩატარდა შეხვედრები ფრენბურთში „არტეკის“ თასზე. შეხვედრის მდივანი მე ვიყავი. ჩვენი რაზმის გუნდი ფინალში გავიდა, მოუგო მესამე და მეხუთე რაზმის გუნდებს. ბანაკის გახსნისადმი მიძღვნილ კონცერტზე ჩვენც გამოვედით: ნოდარი, ჯონდო, თლესია და მე. ვნახეთ კინოფილმი „ღედა“. ჩატარდა ფინალი, თასი ჩვენია!“


ისევე დღიურები! იფურცლებიან ივნისის დღეები. ნავეების სრიალი არტეკის ყურეში. კატერინოვით — „პავლიკ მოროზოვი“ და „არტეკი“ — გადასვლა კლდოვან კუნძულზე, რომელსაც იაღლარი ანუ ტყუბუბი ჰქვია. სტუმრად იმავე კატერინოვით მეორე და მეოთხე ბანაკში. სპორტული შეჯიბრებები მეზობელ ბანაკებთან. ექსკურსია აიუდაგზე, ნიციტსკის სახელმწიფო ბოტანიკურ ბაღში, იალტაში, დიდი რუსი მწერლის ანტონ პავლეს-კი ჩეხოვის სახლ-მუზეუმში, მარადსასოვარ პუშკინისეულ ადგილებში, გმირთაგმირ სევასტოპოლში. მთაღებმა ხუთდღიანი ლაშქრობისათვის ყირიმის მუზეუმში...

დიდხანს ვკითხულობდი დღიურებს. ისინი ნაჩქარევად, ალაგ მელნით, ალაგ დაწერით იყვნენ წერილი. მესამე საათი დაიწყო და ჩავაქვე სინათლე, დავხეიანი და დავხეიქვე თვალს იმის ფიქრით, რომ დილით პიონერულ ხაზზე მიმეწერო არტეკისათვის.

მაგრამ დილით თვალს რომ გავახილე, თავს ჩვენი ბავშვები მაღვდნენ. ისინი ხომ შერდ საათზე იღვიძებენ. დღის გამაშხნეველები ვერჯიში ჩაეტარებიათ, ხაზზე გამოცხადებულები იყვნენ, ესაუბნათ და, ბანაკის ტერიტორიაზე რომ ვერსად მანხეს, ოთახში მომავიწყდნენ.

სასწრაფოდ ჩავიციე და ხეივანში გავედი. სამკითხველოსთან ბანაკის უფროსი ამხანაგი სვისტო-

ვი შეძოგვებდა. ბავშვები მიესალმნენ. წინა ღამეს ბებრი მიქეს თავიანთი ბანაკის უფროსი. ახლა მანისეს — ის არისო. მივაშურე, ვუთხარი, რომ სტუმარი ვიყავი ბანაკისა, და მაღლობაც მოვახსენე ჩვენს ბავშვებზე განსაკუთრებული მზრუნველობისათვის. თავის მხრივ სესტოვამაც მიქო ჩვენი ბავშვები და კმაყოფილებით აღნიშნა — საქართველოდან ყოველთვის კარგი ბავშვები მოგვდისო.



მესამე ბანაკში ხშირად ტარდება შეჯიბრება ფრენურთში.

მზე საკმაოდ მომადლებულიყო. ბი-

ლივით პლაჟზე ვამჯობინე ჩასვლა და ბავშვებიც გავიყოლიე. შორს ისმოდა ბურთის ხმა და ყიჟინი. ხალხიც მირა კატერი აუშვეს ბავშვებმა. გოგონა ხალხს მარბენინებდა გასაუთოებლად. აივანზე ფოტოწერე მეცადინებოდა. მწვანე სკამზე წიგნს ჩასცქეროდა ჩინელი გოგონა... და ყველგან — კმაყოფილი და გაოცებული დავჩი — სალამს ვერ ვასწრებდი ბავშვებს.

მთლად გაწუწული, ქორფლიანი, ჩასუქებული ბიჭუნაც, რომელიც პლაჟზე ჩასასვლელ კიბეზე შეგვეჩეხა, შეკრთა და მყისვე მოგვესალმა. ორივე ხელში თავისი თეთრი, ფართოარიანი ქუდი ეტყრა, რომელსაც წყალი წურწურით გასლიოდა. ქუდი ისეთი სიფრთხილით ეჭირა, თითქოს შიგ ფრინველი ჰყავს და ეშინია არ გაუფრინდესო.

— ეგ რა გიშონია? — ჰკითხა ჯონნდომ.

— არაფერი, — უპასუხა ბიჭმა დარცხვენით.

მაგრამ ნუგზარი ქუდში სწვდა.

— აბა, გვიჩვენე!

ბიჭი მიხვდა, რომ ნეტი გზა არ იყო, და ქუდი ფრთხილად გაშალა. ნაკეცებში ცალ-ცალკე მიწუქულიყო ორი პაწია შავი კიბორჩხალა.

— იპ, პატარებია! დაუწუნეს ბიჭებმა.

— მერე რა უშავს! — მხარის დაუპირეს გოგონებმა.

ბიჭმა ქართველ გოგონებს მაღლიერი თვალით შეხედა და ინტიბარი არ გაიტეხა: ესაო, თქვა კოლექციისთვის მინდა და არა მოსახარმად, — სულ ერთიაო.

მეც ლოყაზე ხელი ნოვუთათუნე — რა თქმა უნდა-მეთქი, სიტყვა დავაწიე და სახელიც ვკითხე. კარგი ბიჭიაო, მითხრეს ჩვენმა ბავშვებმა ქართულად და სახელთან გვარიც არ დაავოვნეს. ეს იყო მოსკოვური პიონერი თემურ ფრუნზე — ლეგენდარული გმირის ფრუნზეს შვილიშვილი.

ფრუნზეს კიბორჩხალები რომ ეპატარავათ, დავინტერესდი თვითონ როგორღა ჰქონდათ კოლექციებისა და ჰერბარიუმების საქმე, მალე დავრწმუნდი უჭერბარიუმოდ არც ერთი არ აპირებდა ყიჟინიდან დაბრუნებას. არაერთი ათეული ექსპონატი ამშვენებდა ჩვენი ბავშვების კოლექციებსაც.

სადილობა იყო უკვე.

— ორსაათიანი „აბსოლუტი“. „აბსოლუტი“ ნიშნავს დასვენებას და აბსოლუტურ სიჩუქეს მთელი ბანაკის ტერიტორიაზე.

შემდეგ ჩვენ ისევ შევხვით ერთმანეთს. ნანა კოლუმე წავგვიყვანა პირველ კოროუსში და ბიანინოზე მოგვასვენინა რუსი და ქართველი კომპოზიტორების ნაწარმოებები. იგი მშვენივრად უყრავდა. არ მოგვიცოვებია ნანას საუკეთესო მეგობარი გალია კონოვალენკო. ინსტრუმენტთან თავი მოიყარეს რუსმა, უტარიელმა და სომეხმა პიონერებმა. ერთმანეთს თხოვდნენ, და ყველა სიამოვნებით უყრავდა. სომხის პაწია ბიჭმა მშვენივრად იმღერა სომხური სიმღერა „წეროები“, სადაც ლაპარაკი იყო იმზე, თუ როგორ მიფრინავენ განახლებული სომხეთის ცაზე წეროები და რომ ისინი ტყუილად მიფრინავენ, რადგან სულ ერთია სომხეთზე უკეთეს ქვეყანას ვერსად ნახავენ...

ყველას ვავახსენდა ჩვენ ჩვენი სამშობლო კუთხე და... საღამო იყო წყნარი, ზილილი და თბილი. ვახსოვრებდი ერთად დავსეირნობდით ხეივანებში, ნავახსოვრებს კი ბავშვებმა ისევ მოიყარეს თავი ხანზე, დაუშვეს ალაბი და დაასრულეს არტეკის კიდევ ერთი დღე.

მე კი დავბრუნდი ჩემს ოთახში, ავანთე საღამური ნათურა და ისევ დღიურები გავშალე.

(დასასრული შემდეგ ნომერში)



ქ. გომბაშვილი

ნახ. კ. მახარაძისა.

ს ა ი ღ უ მ ლ ო ყ უ თ ი

პიესა 2 მოქმ. და 5 სურათად

გ მ ნ ა წ ი ლ ე ნ ი:

1. ბიჭი, 2. ვახტანგი, 3. გოჩა, 4. ბიბლა — მოსწავლეები. 5. ნათელა — ვახტანგის დედა, 6. თამარი—ბიჭის დედა, 7. მისათე.

ამბავი ხდება ერთი დღის განმავლობაში.

მ ო ქ მ ე დ ე ბ ა პ ი რ ვ ე ლ ი

ს უ რ ა თ ი პ ი რ ვ ე ლ ი

ნათელას ბინა. ოთახში მავიდას უსხედან და რადიოთი მუსიკას ისმენენ ვახტანგი, გივი და გოჩა. შემოდის ნათელა, ჩაცმულია, ქუდს იხდის, ხელში ჩანთა უჭირავს.

ნათელა — გამარჯობათ, ბავშვებო.

ბიჭი — გამარჯობათ, დეიდა ნათელა...

გოჩა — სალამი დეიდა ნათელა...

ვახტანგი — სად იყავი დედა? (რადიოს გაერთავს).

ნათელა — ბაზარში, შვილო, ცოტა დავიღალე კიდევ, თქვენ რას შვრებით, მარტო რადიო გეყოფათ?

ვახტანგი — ვიმეცადინეთ, დედა...

ნათელა — მე ვიცი, როგორც მეცადინეობთ: ათ წუთს წიგნს კითხულობთ, ორმოცდაათ წუთს მასლათობთ. ხომ ასეა?

ბიჭი — არა, დეიდა ნათელა...

ნათელა — ჰოდა, დასხედით და წესიერად იმეცადინეთ! ერთი კვირა დღე ოჯახში რომ გაატაროთ, არაფერი გიჭირთ. დიდი ხანია მოხვედით? ბიჭი და გოჩა — დიას.

ვახტანგი — როგორც წახვედი, მაშინვე.

ნათელა — მერე, მას შემდეგ ერთი საათიც არ არის! განა მერვეკლასელები ერთ საათს მეცადინებენ?! დასხედით ახლა და განაგრძეთ, მე ხელს არ შეგიშლით, მეორე ოთახში გავალ.

ბიჭი — ხვალ ისეთი არაფერი გვაქვს, დეიდა ნათელა...

ნათელა — შენ სულ აგრე იცი. დიდი ხანია, რაც ორინები მოიცლივ?

ვახტანგი — დედა...

ნათელა — ვახტანგზე მართლა იყავი ნაწყენი? არა უშავს, „მოყვარეს პირში უძრახე — მტერს პირს უჯანო“, ხომ გაგიგონია ანდა?! არც ვახტანგს და არც არავის შენთვის ცუდი არ უნდა, დამიჯერე!

ვახტანგი — დედა...

ნათელა — რა იყო! დედა და დედა... (ვიცი-
თან მიღის და თავზე ხელს გადაუსვამს) მე, რო-
გორც ჩემს ვახტანგს, ისე გელაპარაკები, შვილო.
თქვენთვის ყველასათვის კარგი მინდა, როგორც
ჩემი დეძილი შვილები, ორივე ისე მიყვარხარ,
შენც, გივი, და შენც, გოჩა. განა თქვენს შიშო-
ლებსაც ასე არ უყვართ ვახტანგი?
ბივი და ბოჩა — დიას...

ნათელა — აი, მივდივარ. დასხედით და გა-
ნაგრეთ მეცადინეობა. (მიაქვს ჩანთა და გაღის
ნეორე ოთახში).

ვახტანგი — კარგი, დედა... (სხედბიან. შემო-
ღის გივლა, ხელში ვასალებებს ატრიალებს).

ბივლად — გამარჯობათ თქვენნი...

ყვილანი — (ერთად) კინოქრონიკას გა-უ-
მარჯოს!

ბივლად — მეცადინეობთ?

ვახტანგი — ჰო, ვაპირებთ...

ბივლად — თქვენ თუ ჭკუა გქონდეთ, კაცი არ
ვიყო... კვირა დღე არ გააცდინოთ, გუშინ სად
იყავით?!

ბივი -- რას აპირებ?

ბივლად — იციო, რა სურათი გაღის კინოში?!
თქვენს სიცოცხლეში არ გინახავთ და ვერც ნა-
ხავთ. ახლავე ფული ჩამოდით, წავალ და ბილე-
თებს ავიღებო.

ვახტანგი — ჩვენ დღეს არსად არ ვაპირებთ
წასვლას.

ბივლად — ცოტა ხნით, რა! სწავლას საღამო-
საც მოასწრებთ, იმ სურათს კი სხვა დროს ვეღარ
ნახავთ. ჰა, მოდიხართ თუ არა...

ბივი — მე სიამოვნებით წამოვიდოდი, მაგრამ...

ვახტანგი — გივი! ეგ არის შენი პირობა? გუ-
შინ რა თქვი დღევანდელ დღეზე?!

ბოჩა — რას ეხვეწები, თუ უნდა წავიდე!

ბივლად — თორემ შენ კი არ გინდა წამოსვლა,
შენმა მზემ... შენი სული და გული ახლა იქ არის,
სულიერითა, ახლა ვერაფერს ისწავლი.

ნათელა — (შემოღის) რაო, რა ბრძანეთ, პა-
ტივიმული გივლა?

ბივლად — (შეკრთება) უი, გამარჯობათ დეი-
და ნათელა... ხომ კარგად ბრძანდებით?

ნათელა — გმადლობთ, არა გვიშავს. თქვენ
ხომ კარგად?

ბივლად — დიას, კარგად. ბოღში, ნახვამდის,
დედამ სხვაგან გამაგზავნა და დამაგვიანდება. ისე
შემოვიარეთ, ნახვამდის... (გაღის)

ნათელა — უსაქმურნი! (გაღის)

ბოჩა — დედამ გამაგზავნაო, მართალს მაინც
იძახოდეს. წავა და ყველა კინოს შემოვივლის,
იხტიალებს. ტყუილად ხომ არ შეარქვებს „კინო-
ქრონიკა“ მაგ ტყუილების გულას!

ვახტანგი — ჰოდა, იმიტომაც არის ასე გაზე-
რილი. (იციინან).

ბივი — ახლა მე შემომაქვს წინადადება, წავი-
დეთ ცოტა ხნით სახლებში, ვისაუზმოთ და ისევ
მალე დავბრუნდეთ...

ვახტანგი — რას ამბობ, რა დროს საუზმო...!

ბივი — ჩუმად, რა გაყვირებს, დედა ნათელამ
არ გაიგოს.

ბოჩა — შენ გივლასთან ერთად გინდა კინოში
წასვლა და ახლა საუზმო გამოიგონე.

ბივი — კინოში წასვლა რომ მინდოდეს, თქვე-
ნი ცი არ მემშინა, მომიშვიდა...

ბოჩა — კარგი, მეც წავივალ და ერთად და-
ბრუნდეთ.

ბივი — კარგი... (ჩვეულზე აიღებს).

ვახტანგი — იცოდეთ არ დივივიანოთ...

ბოჩა და ბივი — არა, არა... (გაუიან, ვახტან-
გი რადიოს ჩართავს, გამოდის ნათელა).

ნათელა — ბივის! სად გაქრენ შენი ამხანაგე-
ბი?

ვახტანგი — სასაუზმოდ წავიდნენ, დედა, მა-
ლე დაბრუნდებიან...

ნათელა — სასაუზმოდ?! ასე ადრე?! განა ახ-
ლა-რომელი საათია?!

ვახტანგი — საათი?! ახლავე, დედა... (მიღის
მედილთან და ძეგბს) აქ არ არის... შენ ხომ არ
აგოლია დედა, ჩემი საათი?

ნათელა — არა, შვილო, შენი საათი რად მი-
ნდობა!

ვახტანგი — კარგი! (ქულს იხურავს) მე ახლა-
ვე დავბრუნდები (გარბის).

ნათელა — (ვიამხებს) ვახტანგ, რა მოხდა?!

(გაოცებული დგას)

ფ ა რ ა

ს უ რ ა თ ი მ ე ო რ ა

ქუჩა. შემოდის გოჩა და გივი.

ბოჩა — დედა ნათელა იმის შესახებ გელაპა-
რაკებოდა, ვახტანგი რადიოში რომ გამოვიდა და
სუსტ მოსწავლეებში შენც დაგასახელა?

ბივი — დიას. რატომ მეკითხები, განა შენ არ
იცი? შენი გვარი რომ ეთქვა ხომ გეწყინებოდა,
საქვეყნოდ რომ თავს მოგჭრიან, არ გეწყინება?!

ბოჩა — მერე, რითი ფიქრობ სამაგიეროს გა-
დახდას?

ბივი — შენი საქმე არ არის, ეგ მე ვიცი! რას
ჩანაცვიდო... სულაც არ ფიქრობ სამაგიერო გა-
დაფუხნაო, ჩვენ ხომ მეგობრები ვართ...

ბოჩა — უნდა ვიყოთ კიდევ, ვახტანგმა ისიც
ხომ თქვა, რომ დავგმობარებოდა და გენმარება კი-
დევ... ახლა სად მიდიხარ?

ბივი — სახლში.

ბოჩა — თუ კინოში. ვიცი გივლასაკენ მიგა-
წებს გული, წამოხვალ?

ბივი — ეგ, კინოში რა მინდა, შინ უნდა წავი-
დეთ; ხომ შევთანხმდით, ვისაუზმოთ და ისევ უკან
დავბრუნდებით...



„ოთხები“ ჩაქვიკიებული, თქვენ თუ მე? ცხადია მე, რომ ისწავლეთ, ამისათვის ჭკუა უნდა გქონდეთ თავში. დღეს რომ დამფედარხართ და ტვინს იბრუნებთ, დასვენების დღე დასვენების დღედ უნდა გამოიყენოთ. კაცი არ ვიყო, თუ მართლმადიდებელი არ ვამბობდე. (ყურში ხმამაღლა ჩასძახებს) მე გაკვეთილები გუშინ მოვამზადე, გუშინ, გაიგე? გიგლა — გაიგე, გაიგე...

გიგლა — ჰოდა, თუ გაიგე, დამიხსოვრე, დღის რეჟიმი უნდა შეცვალოთ. დღეს კი, თუ თქვენ კინოში წამოსვლის ღირსი იყოთ, კაცი არ ვიყო მაშინ. კარგად იყავი, იქნებ გივის დავეწიო... (გარბის, შემოღობის ვახტანგი)

ვისტანნი — რამ ჩაგაფიქრა გოჩა?

გიგლა — შენა ხარ? არაფერმა... გიგლა მელაპარაკებოდა. გივისაკენ გაიქცა... ხალ მიღინხარ, ვახტანგ?

ვისტანნი — არსად, ისე გამოვედი...

გიგლა — იცი, რა, ვახტანგ, გიგლა არ არის ცუდი ბიჭი, ტყუილად ვემდურებით. კარგად სწავლობს. დღეაშენს არ უყვარს იგი.

ვისტანნი — დედაჩემს ყველა უყვარს ჩემი ამხანაგები, მაგრამ ვინაიდან გიგლა ჩვენთან მხოლოდ კინოში წასვლის წინ შემოიბრუნებს ხოლმე, შეიძლება არ მოსწონს მისი ეს საქციელი. მართალია, ჩვენისთანა არაა, მაგრამ კარგი მოწაფე რომ არის ციცი... კინოში წავიდნენ?

გიგლა — გივი შინ წავიდა, გიგლა კი მგონი კინოში აპირებს წასვლას.

ვისტანნი — გოჩა, ერთი ეს მითხარი, მაგორში, შენ როგორ ფიქრობ, რომელი უფრო პატიოსანია, გივი თუ გიგლა?

გიგლა — რატომ შეკითხები, რა მოხდა?

ვისტანნი — წამოდი, გზაში გეტყვი. (გადიან)

ფ ა რ ღ ა

მ ო ქ მ ე ლ ე ბ ა მ ე ო რ ე მ

ს უ რ ა თ ი მ ე ს ღ ა მ

ქ უ ლ ი ა. გივი მარტო დგას.

გიგლა — გივი, ვახტანგის მაგიდიდან რა აიღე? გიგლა — (გაოცებული) როგორ? შენ ხომ არ გეღიანებდა, რა უნდა ამეღო.

გიგლა — მე ხომ შენი მეგობარი ვარ, გამოტყედი, მე ხომ არაგის ვეტყვი. რა ჩაიღე ჯიბეში?

გიგლა — ხომ არ გავუფიცი, რა უნდა ამეღო!

გიგლა — არა, გივი, მე ხომ ნამდვილად დავინახე მარტო რა... (მარცხის ჯიბეზე ხელს წააგულუბნებს).

გიგლა — ხელი, ხელი არ მახლო. უკან დაიწი... შენა გგონია, აქაო და ჩემზე დიდი ხარ, მომერევი? ითავს თუ არ დამანებებ, იცი რას გივამა?

გიგლა — მაინც რას?

გიგლა — ის მე ვიცო... ჯიბეში ჩემი ფანქარი ჩავიდე, სხვა რა უნდა ჩამეღო, ამა, ნახე (აჩვენებს).

გიგლა — ჰო, კარგი.

გიგლა — ასეთ ტყუილს მიგონებ. ვინმემ რომ გიგლის და დაიჯეროს, მერე სად აპირებ წასვლას! ასეთი რამ თუ მეორედ გაგიბედინა!..

გიგლა — ვითომ და რას მივამა...

გიგლა — რას გივამა? შენ ძალიან ვაითამებულხარ, ჯერ ვახტანგისათვისაც არ მიპატიებია რაც ჩაიღინა. ისე გავამწარებ... შენც თუ ჭკუა არ გისწავლია, აი, ამას ხომ ხედავ... (ჯიბის დანას აჩვენებს) თუ ჩემზე კრინტი დავიძრავს... (გარბის, გოჩა ჩაუფიქრებდა, პაუზა. შემობრბის გიგლა, ხელში გასაღებებს ათამაშებს)

გიგლა — ე! აქ რა გინდა?

გიგლა — შენ მივდივარ, უნდა ვისაუფლო...

გიგლა — ავი წასვლას არ აპირებდით. გივი რა იქნა?

გიგლა — აგერ, ხედავ? შენ მიღის...

გიგლა — წამოხვალ კინოში...

გიგლა — რა დროს კინოა, რას ამბობ! გაკვეთილები?

გიგლა — კაცი არ ვიყო, თუ თქვენ რამე გესმოდეთ. განა ვერ გატყობთ, შენც ასე გგონია, ვახტანგსაც, დედამისსაც, რაკი კინოში დავდივარ თითქოს ამიტომ ცუდი მოწაფე ვარ. სამიანებო თქვენა გაქვთ თუ მე? ვისა აქვს „ხსუთები“ და

გიგლა — თითქოს იმ დროს გაკვეთილს ამზადებდა, როგორ დამინახა... არა, რაღა მაინცდამაინც ჩემზე უნდა იფიქრონ. იქ ხომ ჩემს ვარდა კიდეც ორნი იყვნენ. გოჩა და გიგლა. გიგლა მაინც არ მოსწონს დედა ნათელას. უსაქმურსა და ცერცეტას ეძახის. ჰოდა, მას დააბრალებს კიდეც... მე საიდან უნდა დამიმტკიცონ... უარს ვიტყვი და რას მიზამენ... გოჩა კი კრინტსაც ვერ დამრავს, ახა, ერთი ვაბედლოს, მიიღებს მისაღებს! (ქუშტს შეატრიალებს) ჩემს საიდუმლო ყუთს კვლავ ფულები მიემტკიცება... სამაგიეროს ვადახდა და გამწარება ახლა ნახე როგორ უნდა კიდეც გამობრძანდი რადიოში და დასახელები ჩემი ვფარე. (ლაპარაკში აუჯერებს ვახტანგს) „ზარმაცო, სწავლა ეზარება, ორიანები აქვს“. ჰოდა, ახლა ხომ გამოვსწორდი,

სხვა რაღა გნებავს. აღარა მაქვს ორიანი. მე ვიცი, რასაც ვიზამ... ჩუ, ვილაც მოიმღეროს... არა, რისთვის უნდა გავიქცე... ხმაზე ვცნობ, „კინოქრონიკა“ მოდის.

ბიზი — (მღერის „მაგდანას ლურჯა“-დან მენახშირის სიმღერას და შემოდის. ხელში გასალელები უჭირავს.)

მენახშირე ბიჭი ვარ,
არ მაქვს ბინა, საფარი,
ნახშირის ვყიდი... ბედისგან
ნახშირით ამწვარი,
ჰეი...

ბიზი — მენახშირეს გაუმარჯოს!
ბიზი — გივი, შენა ხარ? რამდენი მარბენინი, — ძლივს დაგეწე, წამოდი რა კინოში, მარტო მეჯვარეება წასვლა, კაცი არ ვიყო თუ არ დაგპატიოვ.

ბიზი — შენი დაპატიუება ნეტავ რა ოხრად მიწაღ, მე შენზე მეტი ფული მაქვს...

ბიზი — ჩემზე მეტი? მაინც, რამდენი ათასი მანეთი გავქს?!
ბიზი — ათასი არა, მაგრამ მალე - მექნება...

ბიზი — რა ყუთი? რამდენი თანდათან იყვება...
ბიზი — რა ყუთი? — ფულს ვაგროვებ.

ბიზი — მერე, რა უნდა იყოილო?
ბიზი — მსუბუქი მანქანა.

ბიზი — ა?
ბიზი — რა იყო, განა ძვირი ღირს! მერე ჩავსვამ შიგ და გიყვარდეს! გააქროლებ და გამოგაქროლებ...

ბიზი — წაყვანაც იცი?
ბიზი — ჰე, მანქანის წაყვანას რა ცოდნა უნდა, განა ვერ ვისწავლი!

ბიზი — როდის უნდა იყოილო?
ბიზი — როცა ფულს შევაგროვებ...

ბიზი — ამდენ ფულს ვინ მოგცემს, რას ლაპარაკობ!
ბიზი — ჰე, ამას უყურე! ფოტოაპარატს გავყიდი, დედაც სომ მამლევს ხანდახან, აი, როცა მამა მთვრალი მოდის, იცოცხლე სუთთუმნიანებს ამოაფრიალებს სოლმე. მეორე დღეს არც ახსოვს. გიგლა, მე და შენ სომ ძმები ვართ.

ბიზი — ვართ, მერე?
ბიზი — არ გინდა ბევრი ფული გქონდეს?
ბიზი — მერე, ვინ მომიცემს?
ბიზი — თუ მოინდომებ გექნება. (თვალს ჩაუკრავს)

ბიზი — როგორ, საიდან?
ბიზი — (ყურში ეჩურჩულებს) გაიგე?
ბიზი — (სახეში გაარტყამს) მეორედ აღარ თქვა!

ბიზი — გიგლა, მე მარტყამ?
ბიზი — მეორედ აღარ თქვა-მეთქი, გესმის?! (გივი გაიქცევა) მოიცა, სად გარბიხარ... არა, ეს ბიჭი რაღაც საეჭვოდ ლაპარაკობს ფულზეზე. ერ-

თად მოვაგროვოთო და თვალიც ჩამიკრავს, ახლა კინოში წასვლის დრო არ არის... წავალ... დედამის ვკითხავ... უნდა გავიგო იმ საიღუმლო ყუთის ამბავი. (გარბის. სინათლე ქრება).

ს უ რ ა თ ი მ ი ო თ ხ ი

მესაათის პატარა დარბაზი. მესაათე მუშაობს. შიშოლის ვიცი.

ბიზი — გამარჯობა, ძია.

მესაათე — იცოცხლე, ბიჭიკო.

ბიზი — ძია, საათებს არემონტებთ?

მესაათე — კი, ბიჭიკო.

ბიზი — მე მინდოდა საათო...

მესაათე — აბა, მაჩვენე, ვნახოთ, რა სტიკვა შენს საათს.

ბიზი — ჩემი საათი კარგად არის, არაფერი სტიკვა.

მესაათე — მაშ, რა გნებავთ, ყმაწვილო?

ბიზი — ახალ საათს ვყიდულობ და ძველი მინდა გავყიდი.

მესაათე — საათს ყიდი? ვნახოთ, ვნახოთ...

ბიზი — აი, (აძლევის) ეს არის.

მესაათე — საათს არაუშავს. აი, რა, ბიჭიკო, ახლა სასწრაფო საქმე მაქვს, დამიტოვე ეგ საათი, გავსინჯავ, ხომ არაფერი აქვს გაფუჭებული, ხვალ დილით მოდი და მოვრიგდეთ კიდევ.

ბიზი — ხვალ დილით? კარგი, ძია. დაგიტოვო?


მესაათე — მაშ, მაშ! მხოლოდ გვარი, სახელი და მისამართი მითხარი რომ არ დამავიწყდეს. ხვალ დილით მოხვალ და მოვილაპარაკებთ, ხომ შენია საათი?



ბიზი — რა თქმა უნდა.

მესაათე — რატომ ჰყიდი?

ბიზი — ხომ გითხარი, ძია, ახალ საათს ვყიდულობ-მეთქი.



მისსაბთმ — მშობლები გყავს?
 ბიზი — დიას, მამა მოსკოვშია, მივიღებოდაში,
 დედა აქ არის.

მისსაბთმ — აბა, შენი პასპორტი მაჩვენე. ხომ
 გაქვს?

ბიზი — როგორ არა! აი... (აძლევს)
 მისსაბთმ — (იწერს პასპორტიდან) აბა... თა-
 ვისუფალი ხარ... (აძლევს)

ბიზი — ნახვამდის, ძია... (გადის)
 მისსაბთმ — ნახვამდის, ბიძიოკო...

(სინათლე ქრება)

ს უ რ ა თ ი მ ა ე ს უ თ ი

თამარის ბინა. შავიღვთისან სხედან ნათელა და
 თამარი. ნათელა განაგრძობს საუბარს. ღამეა.

ნათელა — დიას... ქალბატონო თამარ, ძლიერ
 მიმიძიხ ლაპარაკი, არც კი ვციცი, თუ საიდან და-
 ვიწყო. ნათქვამია: „ჩქურღმა ერთი ცოლდა ჰქნა და
 ღამკარგვამა ათასიო.“

თამარი — რა მოხდა, ქალბატონო ნათელა,
 დაკარგეთ რამე?

ნათელა — მოგახსენებთ. ამ დღითი ჩვენთან
 იყვნენ ვახტანგის ამხანაგები: გოჩა, გიგლა და
 თქვენი ვაჟიშვილი გივიცი, როდესაც წავიდნენ,
 განტანგვა საათი ვეღარ ნახა. დღითი, ვიღრე ბა-
 წარში წავიდლოდი, ჩემი თვალთი ვნახე, ვახტანგის
 სამცხალანო მაგიდაზე იყო. ბავშვები წავიდნენ თუ
 არა, საათიც გაქრა. არა, მე დანამდვილებით არც
 გივი ვინ წაიღო საათი, ოღონდ მე გთხოვთ დამეხ-
 მაროთ ამ საქმეში. გოჩა ისეთი ბიჭია, ჩემს სი-
 ცოცხლეში ვერ ვიფიქრებ იმაზე; პირველი კლა-
 სიდან ჩემი ვახტანგის ამხანაგია და როგორც ძმები
 ისე გაიზარდნენ. გიგლა უცბად მოვიდა, არც დამ-
 ჯდარა, ისე მალე წავიდა, — კინოში ეჩქარებოდა.
 ვიფიქრებდი, შეიძლება ვახტანგმა დაკარგა და მი-
 მალავს-მეთქი, მაგრამ დღითი ხომ საკუთარი
 თვალთი ვნახე მაგიდაზე. ახლა, მე გთხოვთ, საწყყ-
 ნად არ მიიღოთ, ჩემო თამარ, ეს ამბავი... იქნებ
 გივის ბავშვობით მოუფიდა, მოეწყინა, აიღო და...

თამარი — თუ ეს გივის ჩადენილია, მამამისს
 ვერ გადაურჩება, ვი მაგის ბრალი მაშინ...

ნათელა — დღევანდელი ამბავია, არსად მითქ-
 ვამს, არავინ იცის, თუ რაიმე შეამჩნიეთ, რო-
 გორც ახლობელს ისე გთხოვთ, დააბრუნოს საათი.
 გივი ცოტა ნაწყენია ვახტანგზე და შეიძლება ეს
 ღიობით ჩაიღინა. გოჩას დაუნახავს...

თამარი — რატომ ვარ ცოცხალი. ამას რომ ვის-
 მენ! ალბათ შეამჩნიეთ, ნათელა, თორემ ასე...

ნათელა — ცოდვას ვერ ვიზამ და არაფერი
 შემიძინებია... გიგლასთანაც ვიყავი. არავინ არის
 სასლონი. გოჩა და ვახტანგი კი შინ სხედან, მეცალი-
 ნოლოში. ბოდოშის იხილი. რომ შევაწუხებთ... კარგად
 ბრძანდებიან. (შიღის)

თამარი — კარგად იყავით, ჩემო ნათელა... (პა-
 უხა) რატომ მქ არ მოგვკვდები, თუ ეს მართალია...
 დღიდანვე წავიდა და ჯერაც არ დაბ-
 რუნებულა... ვახტანგისგან წასულა და არა ჩანს...

დაბრუნდეს მამამისი მოსკოვიდან და, თუ ეს სინამ-
 დვილე გამოდგა, ყველაფერს მოვახსენებ. (შემო-
 დის გივი) სადა ხარ, ბიჭო, დილას რომ წახვედი
 აღარ დაბრუნებულხარ, აქაო და, რაკი მამა აქ არ
 არის, დილიდან საღამომდე გარეთ უნდა იყო?

ბიზი — რა იყო დედა, განა არ იცი, რომ ვახ-
 ტანგთან ვიყავი სამცხალანოში?

თამარი — აქამდე? ახლაც იქიდან მოდიხარ?
 ბიზი — ახლა... ახლა კინოში ვიყავი...

თამარი — კინოში?
 ბიზი — ზო, თუ გინდა, გიგლას ჰქითხე. ერთად
 წავიდეთ.

თამარი — მართალს ამბობ?
 ბიზი — დედა მომიკვდეს თუ გატყუებდე...

თამარი — დედას მოუკვდი შენ, თუ მართალს
 არ ამბობდე. დაჯექი.

ბიზი — (ჯდება და რვეულებს მაგიდაზე აწ-
 ყობს) უჰ, როგორ მშაი!

თამარი — გივი, ერთი საქმე მაქვს შენთან...
 ბიზი — რა, დედა?

თამარი — ხომ გიყვარს დედაშენი, გივი...
 ბიზი — რა მოგივიდა დედა, მაგას რაღა კითხვა
 უნდა.

თამარი — ხომ არაფერს დამიმალავ, დედა გე-
 ნაცვალოს...

ბიზი — რა უნდა დავიმალო... (წამოხტება).
 თამარი — რას წამოხტის! დაჯექი და მომისმი-
 ნე... გივი, მამა რომ ფულებს გამძღვეს, სად გაქვს
 ის ფულები შენახულია?

ბიზი — დედა, რამდენჯერ უნდა მკითხო, ხომ
 გითხარი, რომ არ გეტყვი... შენ გინდა დამიხარჯო
 ის ფული... არა, არ გეტყვი...

თამარი — ხომ სასლოში გაქვს?
 ბიზი — მამ, სად მექნება... ცოტაც რომ დაე-
 მატება, შემნახველ სალოროში შევიტან, ჩემს სა-
 ხელზე, აქამდე ხომ პასპორტი არა მქონდა.

თამარი — პასპორტი რა შუაშია... გივი, ერ-
 თი ეს მითხარი, შენ და ვახტანგი ხომ შერიგდით.

ბიზი — ჭე... რაღა დროსია... დღესაც იქ არ
 ვიყავი?!

თამარი — საქმეც მაგაშია, რომ იყავი... იქი-
 დან ხომ არაფერი გამოგოლოდა?

ბიზი — (გაოცებული, ყვირილით) როგორ არა,
 აი, ეს ჩემი რვეულები... არა, სხვა რა უნდა გამომ-
 ყოლოდა?

თამარი — არა, ერთი მითხარი, თუ პილბილი
 არ გიჭამია, პირი რად გეწვეს. რა გავყვირებს, ყრუ
 ხომ არა ვარ!...

ბიზი — იყო აქ ვინმე თუ?
 თამარი — დიას, იყო...

ბიზი — ვახტანგი, არა?
 თამარი — არა, ვახტანგი არ ყოფილა, დედა-
 მისი...

ბიზი — რა მინდაო?
 თამარი — საათი დაკარგვია ვახტანგს და, თუ
 წამოიღე, მომეცი. ისე დაუბრუნებ უკან, რომ
 ვერაინ გაიგებს. გოჩას დაუნახავს თურმე, სირ-
 ცხვალად ისიც გეყოფა, რომ ორი წელია ერთ
 კლასში წიხარ,

ბიზი — რა? საათო? ახლა საათის ქურდობასაც მებრალბებენ? ჩამოვიდეს აქ მანა თუ არ ვუთხრა... იქ ხომ მარტო მე არ ვყოფილვარ, გონა და გიგლაც იქ არ იყვნენ? მე რა ვიცი საათი... როგორი ხარ, დედა, ყველაფერი მე უნდა დამაბრალლო... (ტირილით გადის მეორე ოთახში).

თამარი — ყოჩაღ, ბიჭო, საცაა უღვაშები ამოგივა და ტირილი კიდევ დაღვიწყებია... გადმოიღე მანდ საჭმელი, ივანშემ და შემდეგ იმეცადინე, თორემ მე ვიცი შენი! (კარს შემოაღებს და თავს შემოჰყოფს გიგლა).

ბიგლა — დეიდა თამარ, შეიძლება?

თამარი — შემოდი, გიგლა...

ბიგლა — სსს... ჩუმად... (შემოდის) გივი შინ არის?

თამარი — შინ განლაგს... რა იყო, გიგლა?

ბიგლა — (გასაღებებს ატრიალებს) დეიდა თამარ, კაცი არ ვიყო, თუ თქვენთან სერიოზული საქმე არა მქონდეს... მხოლოდ ისე, რომ გივიმ არ გაიგოს...

თამარი — მეორე ოთახშია, ვახშობს. რა მოხდა?

ბიგლა — არაფერი ისეთი...

თამარი — შენც საათზე ხომ არ მოხვედი?

ბიგლა — რა საათი, მე არაფერი არ ვიცი...

თამარი — რაკი არ იცი, მაშუ თქვი რა ვინდა. ჯერ ეს მითხარი, შენ და გივი კინოში ერთად იყავით?

ბიგლა — არა, დეიდა თამარ, მინდოდა, შაგრაბ აქ წამოსვლა ვამჯობინე.

თამარი — გისმენ...

ბიგლა — ხომ არ გამოიჯვარდები, დეიდა თამარ?

თამარი — რაზე ვვილო?

ბიგლა — გივის ცოტა მოვარტყე... (ხელით ანიშნებს)

თამარი — უი, მომიკვდეს თავი. რისთვის?

ბიგლა — ბევრი ფული მოვაგროვით, მანქანა უნდა ვიყიდო და ერთად ვისიერნოთო. მერე ისეთი სიტყვა მითხრა, დეიდა თამარ, ვედარ მოვუთმინე და...

თამარი — განა რა გითხრა ისეთი?

ბიგლა — თვალი ეშმაკურად ჩამიკრა, (ორი თითით ანიშნებს ფული მოვიპაროთო) ერთი ყუთი მაქვსო, საცაა ფულით გაივსებაო. დეიდა თამარ, განა თქვენ არ იცით იმ ყუთის შესახებ?

თამარი — ერთი უბრალო რაღაც ყუთია, ამ უჯრაში აქვს, შენახული, ჩაკეტლია, ბევრი ვიწვავი, მაგრამ ვერაფრით ვერ გავადი. როგორც ჩამოვა მამანისი, უნდა გავხიზლო რამდენი აქვს იმ საიდუმლო ყუთში ფული...

ბიგლა — რა, გასაღები არა გაქვთ?

თამარი — არა, შევიღო, თვითონ ინახავს... მერე მაგისათვის სად მცალია... დედა მიწვევს სავადადყოფოში, ძლიერ ავადაა, დილა-საღამოს იქ დავდივარ.

ბიგლა — დეიდა თამარ თუ თქვენ ვინდათ... აი, შეხედეთ... (გასაღებებს უჩვენებს) კაცი არ ვიყო, თუ არ გავადლო...



თამარი — ეს რა გასაღებები გიჭირავს?

ბიგლა — ჩემი წიგნის კარალისაა, უჩემოდ რომ წიგნები არ ინახოვრონ, ვკეტავ ხოლმე.

თამარი — შენ თუ მაგაში დამენმარები, რა ვინდა ჩემგან... აბა, სინჯე...

ბიგლა — ხო? ახლავე, დეიდა თამარ... (გასაღებს მოარგებს, ამოაქვს ყუთი) აი, ესეც საიდუმლო ყუთი!

ბიზი — (მეორე ოთახიდან) დედა...

თამარი — რა იყო? (გიგლას ანიშნებს დაიმალო. გიგლა ყუთიანად მაგიდის ქვეშ შექცება. თამარი სუფრას ასწორებს. გამოდის გივი)

ბიზი — დედა... ჩემი ჩანაგლი სად არის, ვერ ვნახე...

თამარი — კარალის მარჯვენა უჯრაშია...

ბიგლა — რას აკეთებ, დედა?

თამარი — მაგიდის საფარი სულ დაიხა, ახალი მინდა ვიყიდო და წომას ვიღებ... (მტკაცველით წომავს).

ბიზი — ზო, მაგისათვის ხომ გაქვთ ფულები? მე რომ ვთხოვო, კი არ მომცემ...

თამარი — გასწი, ივანშემ და გაკვეთილებს ჩაუფიქვია...

ბიზი — დღეს ხომ ვიმეცადინე... ისეთი ახალი სურათი ვნახე, რომ... ვინდა ვიამბო, დედა?

თამარი — რა დროს ეგ არის ჩქარა ჭამე და მერე იმეცადინე...

ბიზი — კარგი, დედა... (გადის)

ბიგლა — (გამოდის, იცინის) მე კაცი არ ვიყო, თუ დღეს საღამე ახალი სურათი გალიოდეს... ეგ მე მკითხეთ... როგორ იტყრა...

თამარი — აი, ამ მაკრატლით ვცადოთ გასწინა... (აძლევს მაკრატელს)

ბიგლა — (წევალება, ხსნის, წამოიყვრება) დედა თამარ, შეხედეთ... აქ ფული სრულებით არ არის... კოჭები მყრია და, ნახე! ჩემი ჯუჯვა, ამას წინათ რომ დავკარგე...



თამარი — (ლუყაზე ხელს შემოიკრავს) კამათ-
ლები? შენი ჯაყვა? ვი ჩემს დღეს, ფუჭიც
დაუხარჯავს...

ბიგლ — არა, ფუჭს არ დანარჯავდა...

თამარი — მაშ რა იქნა? მართალია, ცოტა
ჭქონდა, მაგრამ რომ არც ის არის?

ბიგლ — ეგ ამ კამათლებს უნდა ვკითხოთ.
თქვენი მეუბნებელი პროფესორის შვილს ხომ მე-
გობრობს გივი, შოდა, იმასაც კარგად ეცოდინება...

(გარედან მოისმის ხმაური)
თამარი — დამალე ყუთი... ვილაც უნდა
იყოს... (ყარბთან მიდის, გიგლა ყუთს დამალავს.
შემოდის ვასტანგი და გოჩა)

ვანტანბი — სალამი, დეიდა თამარ...

ბოჩა — სალამი, პატივცემულო თამარ...

თამარი — იცოცხლეთ, შვილებო...

ბოჩა — ოჸო, კინოქრონიკაც აქ ყოფილა...

ვანტანბი — დეიდა თამარ, ვილაც კაცი გკით-
ხულვოთ.

თამარი — მე? (ყარს ადებს, შემოდის შესა-
თე) მობრძანდით.

მისაბთი — გამარჯობათ...

თამარი — იცოცხლეთ, ბატონო...

მისაბთი — გივი მზიაშვილი აქ ცნობრობს?

თამარი — დიას...

მისაბთი — მე მისი მშობლები მინდოდა.

თამარი — მე განხლავართ...

ბიგლ — გივის დედა განხლავთ.

თამარი — ვაიმე... მოსკოვიდან ცუდი ხომ
არაფერი ამბავია?

მისაბთი — დამშვიდდით, ქალბატონო, მოს-
კოვი თვალათაც არ მინახავს... მე მინდოდა მე-
კითხა... მეც ხომ მშობელი ვარ...

თამარი — რაშია საქმე?

მისაბთი — მე შესაათე განხლავართ... შინდო-
და გამეგო... ერთხელ ასეთ საქმეზე კარგი მაგარი
უსიამოვნებაც შემემთხვა, მაგრამ... თქვენი შვილი
საათს ჰყიდის?

თამარი — რომელ საათს?

მისაბთი — (ამოიღებს) აი, ამას...

ვანტანბი — (შეჭყვირებს) ჩემი საათი! (გამო-
ართმევს, გაარს შემოიხვევიან გიგლა და გოჩა).

თამარი — ვი, ჩემს დღეს! ამას რას მოვეს-
წარი... (სკანზე დაეშვება. ყვირილზე გამოდის გი-
ვი, შეხედავს მესაათეს და წამოიძახებს)

ბიგმი — ძია!

მისაბთი — ძიამ პატრონს საათი აპოვნინა.
ძიამ ერთი სიტყვა უნდა გითხრას და მთელს სი-
ცოცხლეში განსოვდეს: „სიცრუეს მოკლე ფეხები
აქვს“. სიმართლე გზას მუდამ იპოვის. კარგად
ბრძანდებოდეთ...

ბიგმი — ძია... შეჩერდი... მომისმინე... ძია, ამ-
ხანაგებო, ერთი სათხოვარი მაქვს.. ამის შესახებ
ნურას იტყვიო, ნურც შინ, ნურც სკოლაში... მე
გთხოვო... მე გაძლევთ პირობას... (დელის წინ და-
ეშობა)

ვანტანბი — შენი პირობა ჩვენს გარეშე არ
ივარგებს... დეიდა თამარ, კეთილო ძია, ჩვენ გაძ-
ლევთ პირობას — აი, მე, გოჩა და გიგლა, რომ ან
ჩვენ სამნი გავხდებით ისეთი, როგორც გიგია,
ან გივი გახდება ჩვენზე უკეთესი... (გივის) დამ-
შვიდდი! ეგ სრულიად არაა საჭირო! ნახვამდის
ძია, აი, ჩვენ გაძლევთ ამის პირობას!

თამარი — გამადლობთ! და თან დიდ ბოდიშს
ვიხდი, რომ ჩემმა შვილმა მარტო ჩვენ კი არა,
თქვენც შეგაწუხათ... გამადლობთ!

ფ ა რ ღ ა



ბ ი ო ნ ე რ ე ბ ი ს მ თ ა ზ ე

შევეყვით აღმართს.
მუხლმავრებს, გამძლეო
დაგვაჩნდა ოფლის მარგალიტები.
ვძლიეთ მწვერვალი და მაღალ ნაძვზე
მტკიცედ ავმართეთ დროშა წითელი.

მას მერე იგი ფრიალებს ლაღად,
თავზე მზის შუქად გადმოგვფენია.
მწვერვალზე ასვლით

განცილი დღლა —
ძირს ჩამოსვლამდე არ შეგვრჩენია.

ასრულდა რაც ვქვეით
და რაც ვინატრეთ,
გულს სიხარული აღარ შორდება,
ძმლავრი შეტევით ძლიერ სიძალდეს
პიონერების მთა ეწოდება.

ბეჰო სეპელაშვილი



ნიკო ბუპარაპოვილი

ნახ. აღ. ბანძელაძისა

ნ ა ჯ რ ა ე ტ ა ნ

პირველი დღეები

სკოლიდან დაკვითვებულ თუ არა, მამაჩემმა ჩემი უფროსი ძმა პიონერთა ბანაკში გაგზავნა, მე კი სოფელში, ბებიასთან. სიმართლე გითხრათ, არ მინდოდა წახვლა, გული მეც ბანაკისკენ მიმიწვევდა, მაგრამ რას ვიზამდი, მამის გადაწყვეტილებას წინ ხომ ვერ აღვუდგებოდი! წახვლისას უგებურად დავეშვიდობე ყველას, მატარებელში კი დედა შევაწუხე ბუზდღუნით და საყვედურებით.

ხუთი საათის მგზავრობის შემდეგ ფანჯრიდან ჩვენი სოფელი დავინახე. მწვანე ტყეებით შემოსილმა ქედებმა და ხეობისგულივით გადაშლილმა ალაუნის ველმა თბილისიდან წამოყოლილი ნაღველი თითქოს გამინელა. როცა მთის ფერდობზე გაშენებულ ჩვენს უბანში შევიდი, მაშინ ხომ მთლად დამავიწყდა ყველაფერი. დიდი და პატარა ჩვენს ეკლესიაში შეიკრიბა. უბნის ბიჭები გარს შემომტყვივნენ. რამდენი ხანია არ მენახა ისინი. გასრდილიყვენ. მზისაგან გაწითლებულები შემომტყვირდნენ და მიღმოდნენ. ზოგს გაშვებაც მოსწრო. რა მომაწყენდა მათთან. მზიარულები იყვნენ ძალიან. ასე მცოდნოდა, სულაც არ ვინადგლებდი სოფელში წამოსვლას.

ყველაზე უფროსი გოგია იყო, შავტუხა და გბუხი. ყოველთვის დარბაისლურად ლაპარაკობდა. მას მოსდევდა შოთა — ქერა, ლამაზი ბიჭუნა, რომელსაც დაცინვა უყვარდა, მაგრამ ისეთი კი არა, რომ გწყენოდა. პირიქით, გაიცინებდი, გამზიარულდებოდი. ოთარაც კარგი იყო. ლერწამივით ტანი ჰქონდა. მოკლე შარვალი ეცვა, მუდამ ფეხშიშველა და უხალათო დადიოდა. ყველანი რომ ვისხედით, ის ფეხზე იდგა და თავისი ცისფერი წვრილი თვალებით საღვლე იყურებოდა, ათვალთვრებდა ახლო-შახლო ზის თუ არა ჩიბით, თან შურდულს იმარჯვებდა. ბიძინა? ერთი შეხედვით თითქოს ჩემი იყო, მაგრამ, თუ დაიწყებდა ლაპარაკს, ისეთს იტყოდა, სცილილთ ცრემლი გადამოცვივდებოდა.

ყველანი კარგები იყვნენ, მაგრამ მე უფრო ოთარის უმცროს ძმას—ნიკოს დავუახლოვი. ბიჭებს გარეთ სიარული უყვარდა. ხნდახან მთელ დღეს დაიკარგებოდნენ სოლმე. ნიკო კი ხშირად სახლში რჩებოდა, თავის ბებიასთან საქმიანობდა. დობებში ბაღას გლეჯდა და პალოზე დაბმულ ბოჩოლასთან მიჰქონდა. მისი წყალობით მეც ბევრჯერ მოვიხილავლიერ ბებიანები, მასთან ერთად მეც მომიქონდა ბაღასი და ბოჩოლას და თბებს ვუყრიდი.

ს ა ბ ა ნ ა ო ლ

დღილი ბიჭები საღვლე წავიდნენ. ჩვეულებრივად კაკლის ქვეშ არა სხედან და არ ოხუნჯობენ. იქ ნიკოს ბებია ზის, გამხმარ ლობოს არჩევს. ნიკოც იქვეა — გაბარუბული რაღაცს ედავება ბებიას.

მეც მათთან მივიდი.

— იცი? ბიჭები ალაუნის არხზე წავიდნენ საბანაოდ, — მომიბრუნდა ნიკო, — ჩვენ კი არ ვავითხრეს. ბიჭი არ ვიყო, თუ მეც არ წავიდი!


— საღ უნდა წახვიდი, გზა იცი? იჯექი შენთვის — დატუხა ბებია.

— იქ კი არა, ხვებე წავალი არ წამოხვალ?—ახლა მე შემომხვდა ნიკო.

თინათობის ნიშნად თავი დაუქუნე და წამოგბი. წამსვე გავიქეცი, ბებიასაგან ნებართვა ავიღე. მან ჩალის ქული მომარჩინა ხელში და უკვე ეკლესია გასულს მომძახა: იცოდე, არ მოინახლო, თორემ დაგსიცხავს.

ბებუნი ხეყნის შემდეგ ნიკომაც დაითანხმა ბებია.

განო გადავირბინეთ, ნელი ნაბიჯით აღმართა აუყვებით. ნიკო გაწუწუვებლავ მეგლაპარაკებოდა. მეც სიამოვნებით ვუხმუნდი. მართალია, ის ჩემზე ერთი წლით პატარა იყო, მაგრამ არ ჩამოვივარდებოდა. ზოგჯერ მეგობნიდა კიდევ. მთაზე ასვლისას განსაკუთრებით გამოჩინა თავისი ცოდნა. ყველა



ხისა და შალახის სახელი იცოდა. მათ სარგებლიანობაშიც კარგად ერკვეოდა. გზადაგზა შეხვედრილი ბევრი უცნობი მცენარე გააშენა. საოცარია, საიდან იცოდა ნიკომ ამდენი რამე!

მალე ავიარეთ მთის ფერდობი და პატარა ბუჩქნარში შევიდეთ. ბუჩქნარი რომ გავიარეთ, ჩვენს წინ ძველი ციხე აღმართა.

— გვი, — მითხრა ნიკომ, — ციხის ღარაჯმა გვითხრა, ეს ციხე-სიმაგრე თანს სამასი წლის წინათ არის აშენებული. ახლა აქ არ არის, თორემ ვაჰამბოინენდით, ბევრი კარგი ამავეი ციხის.

ტყეში ჩაშალულმა ძველისძველმა ციხემ მომიხიბლა. თვალს ვეღარ ვაშორებდი მის სათოფურებს, ჩუქურთმიახნა კარმა მიიპყრო ჩემი ყურადღება. კარგა ხანს ვთვალიერებ. ზედ სხვა წარწერების გარდა ჩვენს ბიჭების სახელებიც ამოვიკითხე. იქვე კარებთან ნაცეცხლარი იყო. წამსვე ნახშირი ვიპოვე და ჩემი სახელიც მივაწერე.

მინდობი გავიარეთ. ხეტთან მივედი. წყალი პატარა იყო, ხმა კი დიდ ჰქონდა. აქეთ-იქიდან ამართული სალი კლდეები ბანს აძლევდნენ. მაღლობიდან ვისკუბეთ და ხევში ჩახვებით.

— ბანაობა იცი? — მეთხა ნიკომ.

— ამ პატარა წყალში ვინ ვერ შესვლავს ბანაობას. — მიფიქვ მე და კარგად დავაკვირდი გუბებს, რომელიც ოდნავ დრეკლავდა და ნაირბებზე ჩამქრიალიყო ბუჩქების ჩრდილები შიგ ღამაში ნახატბივით მოჩანდა.

— ეს გუბე ბიჭებმა გააკეთეს. აქა ბანაობდნენ ხოლმე. ახლა კი აღარ ეკადრეს. ალაზნის არხზე წარბახანდნენ. ოთარი ისე გაიპარა დილით, არ მითხრა. შებირებით კი, შემპირდა წაგყუარა. შენ გგონია მოუწონებს მამარჩები?! მოიძიე, გაიკოს!...—დაიქანდა ნიკომ და ტანსაცმლის გახდას შეუდგა.

მეც დავიხარე ფეხსაცმლის ზონარის შესასწნელი. დახრის დროს ქული გადმომივარდა თავიდან და წყალზე ნავივით გასკრა.

— ქული, ქული!—ვიყვირე და უშეწოდ გავაყლდე თავი. ნიკო შურდულივით მოსწყდა ადგილს. ფეხშიშველი აედგენა ქულს. ერთი ფეხის დადგმა მშრალ ადგილზე დავტყვი ფეხსაცმლები და შევც გამოვუღდე. მივედივით, მაგარამ მაღლიდან დაქანებულ წყალს ვერა ვგვინდით სისწრაფეში. ბოლოს ტალღამ მოსახვევში რიყეზე მიაგლო ქული. ნიკომ ხელი დასტავა და ხმაშალა დაიძახა:

— ჩენია, ჩენი, ნუ გეშინია!



ბუჩქნარი რომ გავიარეთ, ჩვენს წინ ძველი ციხე აღმართა.

მას ქული ხელში ექია, მაგრამ ადგომიდან ფეხს არ იცვლიდა, რაღაცს ნახსტკროდა. ის იყო ისევ გუბისყენ წაველა დავაბირი, რომ ნიკოს ხმა მომესმა:

- გვი, მოდი ერთ წუთს.
- წყალი გავტოვე და მივედი.
- ხედავ, რამოდენა ნაპრალია?! დავავიკრიდი, მაღლობის ძირას მიწა გახეთქილიყო. ხევიდან მოწვეტილი ერთი ტოტი წყალი შიგ ნაპრაღში ჩაღიოდა.

— ბიჭოს სად იკარგება წყალი?! — ნაპრაღში. აბა, ყური მიუვდე, როგორი ხმაური ის დავიხარე. ნიკომ ხელი კეფაზე დაამოლო და თითქმის წყალმდე დამაწვეინა თავი.

დღივ ხმაური მომესმა. თავი ავიღე და ჩავფიქრდი. — წყალი თითქოს ორმოში ჩაიხს, მაგრამ ორმოდან სადღ მიდის? — ამის თქმა მოგახერხებ, მეტი ვერაფრისა.

— ბიჭებიც ასე ამაზობდნენ, პაპა თედომ კი სულ სხვანაირად თქვა. პაპა თედო ზომ იცი ვინც არის? ციხე-სიმაგრე რომ ვნახეთ, მისი ღარაჯია. ასე თქვა, შეიძლება წყალი გვირამში ჩაიხსო. გრძელი სამაგი გვიამბო. ამ ციხე-სიმაგრეიდან ხევის ქვეშ ვიპოვებო ყოფილა გაყვანილი. იცი, სადამდე? აი, იმ მთებზე ამაღლებს ტაძარი რომ არის გუმბნულში, იქამდე. ნიკო თითის წვერებზე შედგა, უღრუდა ჩემთვისაც დაენახებინა ის ტაძარი, მაგრამ კლდეები გვევრებოდა, არ ჩანდა.

